



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგბედიშვილი”

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

“01” ოქტომბერი “2018 წელი

N 65/36

ეგზ: N: 1

აღმოსავლეთ საქართველოში, გაერთიანებული სახელმწიფოში, საგარეო-გაერო სპონსორის რეგისტრაცია და იმპორტის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი

(პროგრამული კოდები: 15.00, 08.00, 13.00, 14.00)

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
შესავალი	13
1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	13
1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა	13
1.3 აუდიტის საგანი	14
1.4 აუდიტის მასშტაბი	14
1.5 გამოყენებული კრიტერიუმები	14
1.6 აუდიტის მიზანი	18
1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ	18
2. აუდიტის მიგნებები	19
2.1 შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება	19
2.2 ავტოსატრანსპორტო ხარჯები	22
2.3 მატერიალური აქტივების აღრიცხვა	24
2.4 შრომის ანაზღაურება	25
2.5 მივლინების ხარჯები	27
2.6 სახელმწიფო ქონების მართვა	30
2.6.1 უძრავი ქონების მართვა	30
2.6.2 მოძრავი ქონების მართვა	32
2.7 წარმომადგენლობითი ხარჯები	34
2.8 პროგრამული ხარჯები	35
2.8.1 ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა	35
2.8.2 მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამა	37
2.8.3 პროგრამების ფარგლებში დაუფინანსებელი ბენეფიციარები	41
2.9 სახელმწიფო შესყიდვები	44
2.10 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	46
3. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	47

ტერმინთა განმარტება

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა – **აღმოსავლეთის წარმომადგენლობა.**

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა – **ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობა.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა – **სამეგრელოს წარმომადგენლობა.**

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა – **იმერეთის წარმომადგენლობა.**

იძულებით გადაადგილებული პირი – **იგპ.**

ავტონომიური რესპუბლიკა – **ა/რ.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა – **აფხაზეთის მთავრობა.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე – **აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე.**

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო აფხაზეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონსა და იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან (01.01.2017 – 01.01.2018 წლების) შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

1. აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებში 2017 წელს, ისევე როგორც წინა 2016 წელს, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები და მათზე ანაზღაურდა – 172,143.38 ლარი. მოპოვებული მტკიცებულებებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. გარდა ამისა, დინამიკაში (2016 წელთან შედარებით) ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა (გვ.19).
2. სამეგრელოს, აღმოსავლეთისა და იმერეთის წარმომადგენლობების საკუთრებაში არსებული ავტომანქანების საწვავის ხარჯვის შესწავლით, გამოვლინდა საწვავის ჩასხმის ფაქტები არასამუშაო დღეებში და აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ არის დაფიქსირებული სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის (გამოყენების) აღრიცხვის ჟურნალში. გარდა აღნიშნულისა, ფიქსირდება (მაგალითად, სამეგრელოს წარმომადგენლობაში) საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ავტომანქანების მოძრაობის ისეთი შემთხვევები, როდესაც აღნიშნულ ქალაქებში სამსახურებრივი მივლინებები დაგეგმილი არც ყოფილა. შესაბამისად, წარმომადგენლობებში არასათანადო (არაეფექტიანი) კონტროლის მექანიზმის გამო, ფაქტობრივად იქმნება ავტომანქანების არამიზნობრივი ექსპლუატაციისა და საწვავის არაეფექტიანი ხარჯვის რისკები (გვ.22).
3. აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებში 2017 წელს შესყიდული მატერიალური აქტივებიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში საფინანსო-საბუღალტრო სამსახურების არასწორი ქმედებით, დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა მხრიდან

არასათანადო კონტროლის გამო, არ არის აღრიცხული ჯამში 28,729.62 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების შემენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციები. შესაბამისად, რადგან აღნიშნული ხარჯები არ აისახება, იქმნება მარაგებისა და მცირეფასიანი აქტივების მოხმარების (ხარჯებში ჩამოწერის) გაუმჭირვალობისა და არარაციონალურად ხარჯვის რისკები (გვ.24).

4. აღმოსავლეთისა და ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობებში, საფინანსო-საბუღალტრო სამსახურების არასწორი ქმედებებით, დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, „შრომის ანაზღაურების“ სახაზინო მუხლიდან არასწორად, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შეუსაბამოდ მოხდა თანხების გაცემა, ჯამში 7,155.96 ლარის ოდენობით, რის გამოც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და შეიქმნა თანხების არადანიშნულებით გახარჯვის რისკები (გვ.25).

5. აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც თანამშრომელი მივლინებიდან დაბრუნდა ერთი დღით ადრე, თუმცა ავანსად გაცემული სამივლინებო თანხის გაუხარჯავი ნაწილი არ დაუბრუნებია. გარდა აღნიშნულისა, აღმოსავლეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობების მიერ დაირღვა მივლინების დროს თანამშრომლების სამგზავრო ხარჯების ანაზღაურების წესი და თანამშრომლებს არ აუნაზღაურდათ ჯამში 1,626.00 ლარის ღირებულების მგზავრობის ხარჯები (გვ.27).

6. აღმოსავლეთის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული – წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, განთავსებულია ქ. თბილისში, კ. ხეთაგუროვის ქ. N2-ში მდებარე ფართზე, რაც მიუთითებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფით, სახელმწიფო ქონების უკანონო გამოყენებაზე (გვ. 30).

7. 2017 წლის აგვისტოში ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელზე განპიროვნებული ავტომანქანა, მწყობრიდან გამოსვლის გამო, პარკირებული იყო ქალაქ ზუგდიდში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ეზოში (ე.წ. კომბინატის დასახლებაში), ხელმძღვანელის მეგობრის მეთვალყურეობის ქვეშ (ყოველგვარი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე), ხოლო თავად ხელმძღვანელი ამ პერიოდში იმყოფებოდა ქ. თბილისში და გავიდა შევხულებად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში ფიქსირდება ავტომანქანაზე საწვავის ჩასხმის ფაქტები, რითაც ფაქტობრივად დასტურდება, რომ წარმომადგენლობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა რეალურად

გამართულ მდგომარეობაში იყო და მისი ექსპლუატაცია ხდებოდა სხვა პიროვნების მიერ, არასამსახურებრივი მიზნებისათვის. აღნიშნული მიუთითებს საჯარო დაწესებულების მოხელეების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო, არაჯეროვან დამოკიდებულებაზე, კონტროლის სისუსტესა და საჯარო დაწესებულების ქონების არარაციონალურ, არამიზნობრივ და არაეფექტიან გამოყენებაზე (გვ. 30).

8. სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების – 4,666.50 ლარის, არასათანადო, არასაკმარისი დოკუმენტური დასაბუთების გამო, შეუძლებელია განისაზღვროს რამდენად აუცილებელი და შედეგზე ორიენტირებული იყო სტუმრების კვების ორგანიზება კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში და შეესაბამება თუ არა ღონისძიებების შედეგები დახარჯულ საბიუჯეტო რესურსს. შესაბამისად, იქმნება საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად და არაეკონომიურად ხარჯვის რისკები (გვ. 34).

9. მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის მოთხოვნების მიხედვით, დაუშვებელია ერთსა და იმავე პირზე, ბენეფიციარზე (ოჯახზე) 2-ჯერ ან მეტჯერ ერთჯერადი დახმარების გაწევა, სამეგრელოს წარმომადგენლობის მიერ 3 ბენეფიციარზე არასწორად ჩაირიცხა თანხა (ჯამში – 300 ლარი), რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ნაცვლად დაუკმაყოფილებელი ბენეფიციარების ანგარიშებზე თანხის გადარიცხვისა, თანხები შეცდომით ჩაირიცხა უკვე გაცემული/დაკმაყოფილებული ბენეფიციარების საბანკო ანგარიშებზე. იმერეთის წარმომადგენლობის მიერ ერთ ბენეფიციარზე 2-ჯერ არასწორად გაიცა თანხა (150 ლარი), რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბენეფიციარმა 2-ჯერ შემოიტანა განცხადება და კომისიამ შეცდომით ორივეჯერ დააკმაყოფილა მოთხოვნა. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, ერთჯერადი დახმარების გაცემის პროცესში არსებულ კონტროლის სისუსტეებზე, საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამო განაწილებასა და საბიუჯეტო სახსრების არასწორად განკარგვის რისკებზე (გვ. 35).

10. აღმოსავლეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობის მიერ მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამის ფარგლებში, გამოვლინდა შეუსაბამოებები და დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ, დაფიქსირდა როგორც სარემონტო სამუშაოების არაჯეროვნად ჩატარების, ისე წარმომადგენლობებში შექმნილი სპეციალური კომისიების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობებში გამოვლინდა შეუსაბამოების მხოლოდ ორი შემთხვევა და მას სისტემური ხასიათი არ ჰქონია, აღნიშნული მაინც მიუთითებს

დევნილთა საცხოვრებელ ობიექტებში კონკრეტულ მცირეფასიან სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების არაეფექტიანობასა და კონტროლის სისუსტეებზე, წარმომადგენლობებში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ კონკრეტული ჩატარებული სამუშაოების არაჯეროვან შესწავლასა და სამუშაოს შესრულების შედეგების უკონტროლობაზე (გვ. 37).

11. წარმომადგენლობებში ერთჯერადი სოციალური დახმარებისა და მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამების ფარგლებში შემოსული განცხადებებიდან, აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში 419, სამეგრელოს წარმომადგენლობაში – 8, ხოლო იმერეთის წარმომადგენლობაში – 6 განმცხადებელს, პროგრამული ბიუჯეტის ამოწურვის გამო, განცხადებების დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი, რაც წარმომადგენლობების მიერ პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის პრობლემებზე, დევნილთა საჭიროებების არაჯეროვან წინასწარ შესწავლასა და მაკონტროლებლის (აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის) მხრიდან არასათანადოდ განხორციელებული კონტროლის რისკების წარმოშობაზე მიუთითებს. აგრეთვე დაფიქსირდა 2 შემთხვევა (1 – სამეგრელოს წარმომადგენლობაში, 1 – იმერეთის წარმომადგენლობაში), როდესაც მოთხოვნილი მცირეფასიანი რემონტის ღირებულების პროგრამით დაწესებულ ერთეული დაფინანსების ლიმიტზე (800 ლარი) გადაჭარბების შემთხვევებში, არასაკმარისი სახსრების გამო, უარი ეთქვათ ბენეფიციარებს განცხადებების დაკმაყოფილებაზე. შექმნილი ვითარების მიუხედავად, დამატებითი სახსრების გამოყოფის თაობაზე, წარმომადგენლობებს არ მიუმართავთ აფხაზეთის მთავრობისადმი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წლიდან წლამდე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში არსებობს გაუხარჯავი სახსრების თავისუფალი ნაშთი, რომლის მიზნობრივად და ეფექტიანად მოთხოვნა-გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა დახმარების მოთხოვნელ იმ დევნილთა საჭიროებების დაკმაყოფილება, რომელთაც თანხის ამოწურვის მიზეზით უარი ეთქვათ დაფინანსებაზე (გვ. 41).

12. 2017 წელს, აღმოსავლეთის, იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობების მიერ, მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამისათვის განკუთვნილი სამშენებლო მასალებისა და მომსახურების შესყიდვა, მიუხედავად მათი ერთგვაროვნებისა, განხორციელდა სხვადასხვა სამშენებლო CPV კოდზე. სარემონტო მასალებისა და მომსახურების ჯამური თანხა სამივე შემთხვევაში აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს, თუმცა, მათი შემენა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის წესის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების

განხორციელების პროცედურები, რაც ქმნიდა კანონმდებლობით დადგენილი შესყიდვის საშუალების მონეტარული ზღვრების ხელოვნურად დაყოფის და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკებს (გვ. 44).

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1:

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური და ეფექტიანი ხარჯვა.

რეკომენდაცია N2:

აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა დაადგინონ ავტომატური არამიზნობრივი ექსპლუატაციისა და საწვავის არაეფექტიანი ხარჯვის კონკრეტული მიზეზები, შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის განხილვით, შეიმუშაონ და დანერგონ ავტომატური განკარგვისა და გაწეული ხარჯების სათანადო კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობების რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია N3:

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა შეიმუშაონ მატერიალური აქტივების მართვის შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და უზრუნველყონ მათი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებისა და გასვლის (ხარჯებში ჩამოწერის) სათანადოდ აღრიცხვა.

რეკომენდაცია N4:

აღმოსავლეთისა და ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობებმა უზრუნველყონ ხარჯების გაწევა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ, დროებითი შრომისუნარობის დროს თანამშრომელთა ხარჯების ანაზღაურება განახორციელოს „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან, ხოლო ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობამ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურის შრომის ანაზღაურება გასცეს „საქონელი და მომსახურების“ შესაბამისი მუხლიდან.

რეკომენდაცია N5:

აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ განახორციელოს კანონშეუსაბამოდ ანაზღაურებული თანხების ბიუჯეტში დაბრუნება და სამივლინებო თანხების გაცემაზე კონტროლის სისტემის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიანად და რაციონალურად ხარჯვას. აღმოსავლეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობებმა უზრუნველყონ თანამშრომლებზე მივლინების დროს აუნაზღაურებელი სამგზავრო თანხების კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად ანაზღაურება.

რეკომენდაცია N6:

აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ უზრუნველყოს უძრავი ქონების გამოყენების მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოში მოქცევა. კერძოდ, უკვე დაკავებულ ფართზე გატარდეს განთავსების ნორმატიული აქტის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებები ან წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეულისათვის გამოიყოს ახალი ფართი.

რეკომენდაცია N7:

ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში დადგინდეს ავტომატური არამიზნობრივი, არაეფექტიანი ექსპლუატაციის კონკრეტული მიზეზები და შესწავლილ და განხილულ იქნეს საჯარო დაწესებულების მოხელეების მათზე დაკისრებული მოვალეობებისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულება და შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, შემუშავდეს და დაინერგოს სახელმწიფო მოძრავი ქონების განკარგვის კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულების რესურსების რაციონალურ, მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია N8:

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა არ დააფინანსონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება მათ საქმიანობას, მათ მიზნებსა და ამოცანებს. შემუშავდეს კონტროლის ისეთი მექანიზმი და წესი, რომელიც განსაზღვრავს სტუმრების კატეგორიას, მათი მიღება-გამასპინძლების ფორმას, მიზანს და უზრუნველყოფს წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით წარგენილი დოკუმენტაციის სისრულეს, გამჭვირვალობას, რამაც ხელი

უნდა შეუწყოს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად, ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვას.

რეკომენდაცია N9:

სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა უზრუნველყონ არასწორად ანაზღაურებული თანხების ბიუჯეტში დაბრუნება და ერთჯერადი სოციალური დახმარების სწორად, მიზნობრივად გაცემა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფისა და პროგრამით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების თანაბარი გადანაწილების მიზნით, აწარმოონ თანხების გამოყოფა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.

რეკომენდაცია N10:

ადმოსავლეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებმა: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიდან იგპ-თა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების“ პროგრამის ფარგლებში, დეტალურად გააანალიზონ როგორც სარემონტო სამუშაოების არაჯეროდ ჩატარების, ისე წარმომადგენლობებში შექმნილი სპეციალური კომისიების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ფაქტები (პასუხისმგებლობის საკითხის განხილვით) და მათი გამომწვევი მიზეზები; გაატარონ ისეთი ადეკვატური ღონისძიებები, რომლებიც აღმოფხვრის გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებს და ხელს შეუწყობს შესრულებული სარემონტო სამუშაოების კონტროლის ისეთი სისტემის დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა.

რეკომენდაცია N11:

დახმარების მოთხოვნილი ბენეფიციარის დაკმაყოფილების მიზნით, ადმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების მიერ გატარდეს აუცილებელი ზომები. კერძოდ, დევნილთა საჭიროებების განსაზღვრისა და სათანადო შესწავლის საფუძველზე, შესაბამისად დაიგეგმოს ბიუჯეტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროგრამულ ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გამოყოფის მიზნით, ზემდგომ უწყებას წარედგინოს დასაბუთებული მოთხოვნები.

რეკომენდაცია N12:

აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებში შესყიდვის განხორციელებამდე სწორად განისაზღვროს შესყიდვის მიზნობრიობა და ობიექტი, ხოლო შემდგომ დადგიდეს შესყიდვის საშუალება, კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვრების დაცვას და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად, ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვას.

შესავალი

1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. წარმომადგენლობები ასევე პასუხისმგებელი არიან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4000), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

1.3 აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- 2017 წელს საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- წარმომადგენლობის პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯები;
- მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მდგომარეობა.

1.4 აუდიტის მასშტაბი

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

1.5 გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულების „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის N5 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომაქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის დადგენილება N2 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის დადგენილება N1 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული

ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N2 დადგენილება „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის N22 დადგენილება „ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N4 დადგენილება „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 25 იანვრის N3 დადგენილება „იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“;

– აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2012 წლის 31 მაისის N017/01-05 ბრძანება „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;

– ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2016 წლის 25 მარტის N03/14 ბრძანება „ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;

– სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2017 წლის 3 იანვრის N3 ბრძანება „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;

– იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2017 წლის 29 დეკემბრის N104/01-05 ბრძანება „იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“.

1.6 აუდიტის მიზანი

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების მიერ 2017 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობები:

წარმომადგენლობების ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს განეკუთვნება: უფლებამოსილების ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა ან/და ფოტოიდენტურობის დადასტურება და შესაბამისი ცნობების გაცემა; უფლებამოსილების ფარგლებში წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა; წარმომადგენლობების ბიუჯეტისა და სოციალური პროგრამების შედგენა, წარმომადგენლობების საკუთრების აღრიცხვა, ფლობა, სარგებლობა და განკარგვა.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო აფხაზეთში, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობები:

გამოვლენილი გარემოებები

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებში 2017 წელს, ისევე როგორც წინა 2016 წელს, მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები და მათზე ანაზღაურდა – 172,143.38 ლარი. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ:

აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 53 ერთეულს, 2017 წელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში (6-12 თვემდე) დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებით 22.64%) და მათზე ანაზღაურდა 64,020.00 ლარი, რაც წარმომადგენლობის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (113,392.00 ლარის) 56.45 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (515,483.00 ლარის) 12.42%.

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2017 წელს მომუშავე 9 შტატგარეშე თანამშრომელი, რომელთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 47,120.00 ლარი (გარდა დამლაგებლებისა) დასაქმებული იყო მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად (6-11 თვე). მიუხედავად იმისა, რომ 6 მათგანზე წლის განმავლობაში მოხდა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შეცვლა, მაინც მათი ძირითადი საქმიანობა გამომდინარეობდა მათზე თავდაპირველად დაკისრებული ფუნქციებიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 4 შტატგარეშე მომსახურე 2016 წელსაც (10-11 თვით) მუშაობდა წარმომადგენლობაში და ასრულებდა ხელშეკრულებით თავდაპირველად განსაზღვრულ მოვალეობებს.

ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 10 ერთეულს, 2017 წლის გარკვეულ პერიოდში (3 თვე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 7 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობასთან მიმართებით 70%) და მათზე ანაზღაურდა 34,510.00 ლარი, რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (42,324.65 ლარის) 81.53%-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების – (149,870.00 ლარის) 58.50%.

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ წარმომადგენლობაში 6 შტატგარეშე პირი (დამლაგებლის გარდა) აყვანილი იყო 2017 წლის ფაქტობრივად მთელი პერიოდის განმავლობაში (6-10 თვე) და მათზე ანაზღაურდა - 32,860.85 ლარი. ასევე 2017 წელს მომუშავე 3 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2016 წელსაც, მთელი წლის განმავლობაში (9-12 თვით) და ყველა მათგანი ძირითადად ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ მოვალეობებს.

სამეგრელოს წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 46 ერთეულს, 2017 წლის გარკვეულ პერიოდში (3 თვე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 10 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა რაოდენობის 21.74%) და მათზე ანაზღაურდა 50,613.38 ლარი, რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (12,117.23 ლარის) 45.14%-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (477,355.93 ლარის) 10.60%.

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ წარმომადგენლობაში 7 შტატგარეშე პირი (მძღოლის გარდა) აყვანილი იყო 2017 წელს, ფაქტობრივად მთელი პერიოდის განმავლობაში (6-12 თვე) და მათზე ანაზღაურდა - 45,856.14 ლარი. ასევე 2017 წელს მომუშავე 5 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2016 წელსაც, მთელი წლის განმავლობაში (9-11 თვით) და ყველა მათგანი ძირითადად ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ მოვალეობებს.

იმერეთის წარმომადგენლობაში შტატით მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 27 ერთეულს, 2017 წლის გარკვეულ პერიოდში (3 თვე) ან მთელი წლის განმავლობაში (6-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 7 მომუშავე (ანუ შტატით

მომუშავეთა რაოდენობის 25.93%) და მათზე ანაზღაურდა 23,000.00 ლარი, რაც წარმომადგენლობაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (67,200.33 ლარის) 34.23%-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების – (268,767.39 ლარის) 8.56%.

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ წარმომადგენლობაში 3 შტატგარეშე მოსამსახურე (მძღოლის და დამლაგებლის გარდა) აყვანილი იყო 2017 წლის ფაქტობრივად მთელი პერიოდის განმავლობაში (6-12 თვე) და მათზე ანაზღაურდა - 11,522.00 ლარი. ასევე 2017 წელს მომუშავე 1 შტატგარეშე მოსამსახურე წარმომადგენლობაში მუშაობდა 2016 წელსაც, მთელი წლის განმავლობაში (12 თვით) და ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ მოვალეობებს.

დასკვნა

კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად¹, იმასთან დაკავშირებით, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს (შტატგარეშე) მინიჭებული უნდა ჰქონდეს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება, წარმომადგენლობებში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო წარმომადგენლობის ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო, სხვა დამატებითი ფუნქციების აუცილებლობით, თუმცა წარმომადგენლობას ზემდგომი ორგანოსათვის საშტატო ერთეულის გაზრდის თხოვნით არ მიუმართავს. შესაბამისად, წარმომადგენლობების მიერ შტატგარეშე მოსამსახურეთა დასაქმების კუთხით, დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და იქმნება საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად გახარჯვის რისკები.

რეკომენდაცია

შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად,

¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი.

რითაც უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური და ეფექტიანი ხარჯვა.

2.2 ავტოსატრანსპორტო ხარჯები

აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობები:

გამოვლენილი გარემოებები

აღმოსავლეთისა და იმერეთის წარმომადგენლობებში საწვავის ხარჯვის შესწავლით გამოვლინდა სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განსაზღვრულ ავტომანქანაზე საწვავის ჩასხმის ფაქტები არასამუშაო დღეებში და აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ არის დაფიქსირებული სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის (გამოყენების) აღრიცხვის ჟურნალში. აუდიტის ობიექტების ინფორმაციით, აღნიშნული განპირობებული იყო აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის რეგიონებში მცხოვრები (დევნილად რეგისტრირებული) წვევამდელების მოძიებითა და მათთვის უწყების ჩაბარებით, აგრეთვე დევნილთათვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევით არასამუშაო დღეებში, რომლებზეც აუცილებელია ოპერატიული რეაგირება არასამუშაო დღეებში. თუმცა წარმომადგენლობების მიერ დოკუმენტურად ვერ დასტურდება აღნიშნულ შემთხვევებში ავტომანქანების მოძრაობისა და გაწეული ხარჯების კონკრეტული მიზნობრიობა.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

სამეგრელოს წარმომადგენლობის საწვავის ხარჯვის შესწავლით გამოვლინდა 2017 წლის ოქტომბერში სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განსაზღვრულ ავტომანქანაზე Opel Astra G (სახელმწიფო ნომერი MIV-255)² წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით³

² სამეგრელოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2017 წლის 16 ოქტომბრის N76/01-05/01-43 ბრძანების პირველი მუხლი.

³ სამეგრელოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2017 წლის 16 ოქტომბრის N76/01-05/01-43 ბრძანების მე-5 მუხლი.

განსაზღვრული საწვავის ყოველთვიური ლიმიტის გადაჭარბება – 300.00 ლიტრით (576.00 ლარი). აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ წარმომადგენლობისათვის 12 ოქტომბერს გადმოცემული Skoda Octavia-სათვის დროულად ვერ დამზადდა აგაი სისტემა და გადაუდებელი საჭიროების მიზნით, გამოიყენებულ იქნა Opel Astra G.

გარდა აღნიშნულისა, გამოვლინდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ხაშური, ზესტაფონი) წარმომადგენლობის სარგებლობაში არსებული ავტომანქანების მოძრაობის 9 შემთხვევა, როდესაც არ ფიქსირდება სამსახურებრივი მივლინებები აღნიშნულ ქალაქებში, ხოლო სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განსაზღვრულ ავტომანქანაზე ფიქსირდება საწვავის ჩასხმის ფაქტები არასამუშაო დღეებსა და აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ არის დაფიქსირებული სამსახურებრივი მიმოსვლისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის (გამოყენების) აღრიცხვის ჟურნალში. აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, აღნიშნული განპირობებული იყო დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების და დევნილთა წინაშე წამოჭრილი სხვადასხვა სახის პრობლემის დროულად და ეფექტურად მოგვარების მიზნით, ფორსმაჟორულ რეჟიმში მუშაობით, თუმცა წარმომადგენლობის მიერ დოკუმენტურად ვერ დასტურდება აღნიშნულ შემთხვევებში ავტომანქანების მოძრაობისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობა.

დასკვნა

აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების მიერ არ ხდება მათ ბალანსზე არსებული ავტომანქანების მოძრაობისა და შესაბამისად, მათზე გაწეული ხარჯების სათანადო კონტროლი, რის გამოც წარმოიქმნება წარმომადგენლობების ავტომანქანების განკარგვისა და შესაბამისად, ხარჯების არაეფექტიანად გაწევის რისკები.

რეკომენდაცია

აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა დაადგინონ ავტომანქანების არამიზნობრივი ექსპლუატაციისა და საწვავის არაეფექტიანი ხარჯვის კონკრეტული მიზეზები შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის განხილვით, შეიმუშაონ და დანერგონ ავტომანქანების განკარგვისა და გაწეული ხარჯების სათანადო

კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობის რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას.

2.3 მატერიალური აქტივების აღრიცხვა

აღმოსავლეთ საქართველოში, ზემო აფხაზეთში, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონსა და იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობები:

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს წარმომადგენლობებში დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო აღრიცხული მატერიალური მარაგების შემენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციები. კერძოდ: აღმოსავლეთ წარმომადგენლობაში შესყიდული 18,150.40 ლარის ღირებულების მატერიალური აქტივებიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა 11,255.60 ლარის; ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში შესყიდული 3,159.77 ლარის ღირებულების მატერიალური აქტივებიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა 1,837.00 ლარის; სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობაში შესყიდული 14,820.22 ლარის ღირებულების მატერიალური აქტივებიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა 10,975.22 ლარის, ხოლო იმერეთის წარმომადგენლობაში შესყიდული 10,113.00 ლარის ღირებულების მატერიალური აქტივებიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხულა 4,661.80 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების შემენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციები. აღნიშნული ხარჯების (ჯამში არასახვით იქმნება მარაგების მოხმარების (ხარჯებში ჩამოწერის) გაუმჭვირვალობისა და არარაციონალურად ხარჯვის რისკები.

დასკვნა

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებში მიუხედავად რეალურად განხორციელებული შემენა-ხარჯვისა, 28,729.62 ლარის მატერიალური აქტივების მიღება/გასვლის აღურიცხაობით, რაც გამოწვეული იყო საფინანსო-საბუღალტრო სამსახურების არასწორი ქმედებით, დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის მხრიდან

არასათანადო კონტროლის გამო, შეიქმნა აქტივების შეუსაბამოდ (არასათანადოდ) მართვისა და კონტროლის რისკები.

რეკომენდაცია

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა შეიმუშაონ მატერიალური აქტივების მართვის შესაბამისი კონტროლის მექანიზმები და უზრუნველყონ მათი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებისა და გასვლის(ხარჯებში ჩამოწერის) სათანადოდ აღრიცხვა.

2.4 შრომის ანაზღაურება

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

მოქმედი კანონმდებლობის⁴ შესაბამისად, დროებითი შრომისუუნარობის გამო, დახმარება ენიშნება ყოველ დასაქმებულს/მოსამსახურეს. დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნას, გაანგარიშებას და გაცემას ახდენს დასაქმებულის შესაბამისი დამსაქმებელი, ხოლო მოსამსახურის შემთხვევაში – შესაბამისი საბიუჯეტო დაწესებულება. დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნის, გაანგარიშებისა და გაცემის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის დამსაქმებელს/დაწესებულებას. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმომადგენლობის მიერ 10 შემთხვევაში, თანამშრომელთა დროებითი შრომისუუნარობის დროს (ბიულეტენზე ყოფნისას) სრულად გასცემდა ყოველთვიურ ანაზღაურებას „თანამდებობრივი სარგოს“ სახაზინო მუხლით, სულ 1,642.18 ლარი, ხოლო 10 შემთხვევაში – დროებითი შრომისუუნარობის გამო წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არასწორად – 158.79 ლარით ნაკლები ოდენობით მოხდა თანხის გაანგარიშება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯამში 1,800.96 ლარი, საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის არასწორი ქმედებების, დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და

⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის N87/5 ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, წარმომადგენლობის მიერ გაცემულია არამართებული საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სახაზინო მუხლით.

დასკვნა

აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის არასწორი ქმედების და დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, შრომის ანაზღაურების გაცემა განახორციელა არასწორი სახაზინო მუხლით, რითაც დაირღვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები⁵ და შეიქმნა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

შტატგარეშე თანამშრომლის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

წარმომადგენლობის 2017 წლის 30 ივნისის N03/29 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული ხელმძღვანელის მრჩევლის თანამდებობა გაუქმდა და აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულ პირთან 2017 წლის 30 ივნისის N02/22 ბრძანებით გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რის საფუძველზეც აღნიშნული პიროვნება განისაზღვრა შტატგარეშე პირად და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების გაცემა 2017 წლის 6 თვის განმავლობაში (ივლისი-დეკემბერი) ხდებოდა „შრომის ანაზღაურების“ სახაზინო მუხლიდან, რამაც ჯამში შეადგინდა 5,355.00 ლარი, მათ შორის, „თანამდებობრივი სარგოს“ ქვემუხლით – 5,100.00 ლარი და „პრემიის“ ქვემუხლით – 255.00 ლარი, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით, შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) თანამშრომლის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო „საქონელი და მომსახურების“ სახაზინო მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ქვემუხლიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობის შესაბამის სამსახურს, მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, არ

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის 2, 211 და 273 კოდები.

მიუმართავს ხაზინისათვის (ფინანსთა სამინისტროსათვის) „თანამდებობრივი სარგოს“ სახაზინო მუხლიდან შტატგარეშე მოსამსახურისათვის გასაცემი თანხების „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში გადატანის მოთხოვნით.

დასკვნა

ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობამ შრომის ანაზღაურების გაცემა, საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის არასწორი ქმედების და დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისა და წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო კონტროლის გამო, განახორციელა არასწორი სახაზინო მუხლით, შესაბამისად, დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები⁶ და იქმნება საბიუჯეტო სახსრების არასწორად ხარჯვის რისკები.

რეკომენდაცია

აღმოსავლეთისა და ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობამ უზრუნველყოს ხარჯების გაწევა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ, დროებითი შრომისუუნარობის დროს თანამშრომელთა ხარჯების ანაზღაურება განახორციელოს „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან, ხოლო ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობამ შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) მოსამსახურის შრომის ანაზღაურება გასცეს „საქონელი და მომსახურების“ შესაბამისი მუხლიდან.

2.5 მივლინების ხარჯები

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2017 წლის 7 ნოემბრის N121/01-41 ბრძანებით, ქ. ბორჯომში 3 დღით მივლინებულ იქნა თანამშრომელი და მასზე გაიცა სამივლინებო თანხა – 149.00 ლარი (დღიური ნორმა – 45.00 ლარი, სასტუმროს ხარჯი, 2 დამე – 100.00 ლარი,

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის 21 და 211 კოდები.

სამგზავრო ხარჯი – 4.00 ლარი). წარმომადგენლობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული თანამშრომელი, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაბრუნდა მივლინებიდან 1 დღით ადრე, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბუღალტრული დოკუმენტაციით (სამივლინებო ფურცლით). შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით⁷, ავანსად გაცემული სამივლინებო თანხის გაუხარჯავი ნაწილის (სასტუმროს ხარჯი 1 ღამე – 50.00 ლარი, დღიური ნორმა – 15.00 ლარი) დაბრუნება უნდა მომხდარიყო საავანსო ანგარიშზე, თუმცა ანგარიშვალდებულ პირს (თანამშრომელს) აღნიშნული თანხა (65.00 ლარი) უკან არ დაუბრუნებია.

წარმომადგენლობის მიერ 2017 წელს განხორციელებული მივლინების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვეყნის შიგნით მივლინების დროს (ყველა შემთხვევაში) თანამშრომელთა მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა - 4 ლარით (ორივე გზა), მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით⁸ მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ეკონომკლასის ბილეთის ღირებულებისა, ხოლო მგზავრობისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამსახურისათვის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი რკინიგზის ან საავტომობილო ტრანსპორტის მინიმალური ტარიფების ფარგლებში. წარმომადგენლობის მიერ არ ხდებოდა მივლინების შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ფასების შესწავლა და რეალური ტარიფებით ანაზღაურება, რის გამოც 2017 წელს მივლინებულ თანამშრომლებზე წარმომადგენლობის მიერ საკითხისადმი არასწორი მიდგომის გამო, არ ანაზღაურებულა 393.00 ლარის მგზავრობის ხარჯი.

დასკვნა

სამივლინებო თანხების ანაზღაურება აღმოსავლეთ წარმომადგენლობის მიერ განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ, ასევე დაირღვა მივლინების დროს თანამშრომლების სამგზავრო ხარჯების ანაზღაურების წესი.

⁷ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N 211 დადგენილების მე-3 მუხლის 27-ე პუნქტი.

⁸ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N 211 დადგენილების მე-3 მუხლის მე-14 პუნქტი.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

წარმომადგენლობაში 2017 წელს განხორციელებული მივლინების დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მივლინების დროს სამგზავრო ხარჯების ანაზღაურება ხდებოდა თანამშრომლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით⁹, მგზავრობისათვის გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამსახურისათვის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი რკინიგზის ან საავტომობილო ტრანსპორტის მინიმალური ტარიფების ფარგლებში, თუმცა 40 შემთხვევაში, წარმომადგენლობას არ აუნაზღაურებია 1,233.00 ლარის სამგზავრო ხარჯები.

დასკვნა

სამეგრელოს წარმომადგენლობის მიერ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნების დარღვევის გამო, საბიუჯეტო სახსრები თანამშრომლებზე არასწორად იქნა გაცემული.

რეკომენდაცია

აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ განახორციელოს კანონშესაბამოდ ანაზღაურებული თანხების ბიუჯეტში დაბრუნება და სამივლინებო თანხების გაცემაზე კონტროლის სისტემის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიანად და რაციონალურად ხარჯვას. ასევე აღმოსავლეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობებმა უზრუნველყონ თანამშრომლებზე გაუცემელი მივლინების თანხების კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად ანაზღაურება.

⁹ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N 211 დადგენილების მე-3 მუხლის მე-14 პუნქტი.

2.6 სახელმწიფო ქონების მართვა

2.6.1 უძრავი ქონების მართვა

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული, წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, განთავსებულია ქ. თბილისში, კ. ხეთაგუროვის ქ. N2-ში მდებარე ფართზე (170 კვ.მ), თუმცა მოქმედი კანონმდებლობით¹⁰, სახელმწიფო ქონება სარგებლობაში გადაცემა ვადით ან უვადოდ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის ფორმით ან მის გარეშე, ასევე უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრირდეს იმ სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, ფიზიკურმა პირმა, საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება, რაც წარმომადგენლობის მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით არ დასტურდება. აღნიშნული ფართის არაკანონიერ გამოყენებასთან დაკავშირებით, წინა წლებშიც გასცა სას-მა რეკომენდაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წარმომადგენლობამ 2017 წლის 14 ნოემბერს (წერილი N 01/1627) მიმართა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – ქონების სააგენტო), ფართის სარგებლობის უფლებით გადმოცემის შესახებ, რაზეც ქონების სააგენტოს საპასუხო წერილში (N5/61410; 22.11.2017) ყოველგვარი მიზეზის/დასაბუთების გარეშე მითითებულია, რომ ამ ეტაპზე არ განიხილება აღნიშნული საკითხი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად წარმომადგენლობის მიერ გაწეული აქტივობებისა, პრობლემა არ მოგვარებულა, რის გამოც, ისევე როგორც წინა პერიოდში, კვლავ გრძელდებოდა სახელმწიფო ქონების უკანონო გამოყენება. აუდიტის ობიექტის განმარტებით, მიმდინარეობს მუშაობა, აღნიშნული ქონების გამოყენების კანონმდებლობის ჩარჩოებში მოსაქცევად. კერძოდ, ზემოაღნიშნულ ფართთან დაკავშირებით, ყველა დეტალური ინფორმაციის მიწოდებით, 2018 წლის 16 ივლისს წარმომადგენლობამ (წერილი N 01/1627) განმეორებით მიმართა ქონების სააგენტოს. წერილში აღნიშნულია როგორც სახელმწიფო

¹⁰ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობა, ასევე ფართოში კანონით დადგენილი პრევენციული ღონისძიებების გატარება (სახანძრო უსაფრთხოების კუთხით განსახორციელებული აქტივობები, სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი, მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაოებს ჩატარება და ა.შ., რამაც შემდგომში შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული გართულებები), აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში წარმომადგენლობა ელოდებოდა ქონების სააგენტოს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დასკვნა

მიუხედავად წარმომადგენლობის მხრიდან განხორციელებული მცდელობებისა და აქტივობებისა, ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად აღმოსავლეთის წარმომადგენლობის მიერ სახელმწიფო ქონების უკანონო გამოყენებაზე.

რეკომენდაცია

განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები აღმოსავლეთის წარმომადგენლობის მიერ უძრავი ქონების გამოყენების მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოში მოსაქცევად. კერძოდ, უკვე დაკავებულ ფართზე, განთავსების ნორმატიული აქტის შესაბამისად, გატარდეს განსაზღვრული ღონისძიებები ან წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეულისათვის გამოიყოს ახალი ფართი.

2.6.2 მოძრავი ქონების მართვა

ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

2017 წლის 18 და 28 აგვისტოს წარმომადგენლობის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანაზე NISSAN XTERRA (სახელმწიფო ნომრით: VOO-898) ფიქსირდება საწვავის ჩასხმა ქალაქ ზუგდიდში. ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით, წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ვისზეც განპიროვნებულია ავტომანქანა პერსონალური სარგებლობისათვის, გაემგზავრა ჭუბერ-ცაიშის დევნილებთან შესახვედრად და სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხების დასარეგულირებლად, თუმცა აღნიშნულ გამგზავრებაზე სამსახურებრივი მივლინება არ გაფორმებულა, რაც მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით¹¹. აუდიტის ობიექტიდან მოწოდებული ინფორმაციით, ავტომანქანა მწყობრიდან გამოვიდა 20 აგვისტოს ქალაქ ზუგდიდში, რის გამოც იგი პარკირებულ იქნა ზუგდიდის დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ეზოში (ე.წ. კომბინატის დასახლებაში) ხელმძღვანელის მეგობრის მეთვალყურეობის ქვეშ და 28 აგვისტომდე არ მოძრაობდა, ხოლო 28 აგვისტოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე (რომელიც ამ დროისათვის ასრულებდა ხელმძღვანელის მოვალეობას) გაემგზავრა ქ. ზუგდიდში და წამოიყვანა უკვე შეკეთებული ავტომანქანა ქ. თბილისში, რაზეც ასევე არ გაფორმებულა მივლინება. აღნიშნული ინფორმაცია დოკუმენტურად ვერ დასტურდება, ვინაიდან წარმომადგენლობამ ვერ წარმოადგინა ავტომანქანის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზის დასადგენად გაფორმებული დეფექტური აქტი და არც მის შეკეთებაზე გაუწევია ბიუჯეტიდან ამ პერიოდში რაიმე სახის ხარჯი. ასევე გაუგებარია, ვის გადასცა და დაუტოვა ქ. ზუგდიდში წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი, წარმომადგენლობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა, ვინაიდან არ არსებობს გადაბარების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების დოკუმენტი, ხოლო თავად ხელმძღვანელი დაბრუნდა ქ. თბილისში და 21 აგვისტოს გავიდა შვებულებაში. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ 18 აგვისტოს ქ. ზუგდიდში ფიქსირდება ავტომანქანაში 54 ლიტრი საწვავის ჩასხმა, ხოლო 28 აგვისტოს კვლავ ფიქსირდება 62 ლიტრი საწვავის ჩასხმა, რითიც დასტურდება, რომ 28 აგვისტოსათვის უკვე დახარჯული იყო 18 აგვისტოს ჩასხმული 54 ლიტრი საწვავი, თუმცა ობიექტიდან მოწოდებული ინფორმაციით, ავტომანქანა 20 აგვისტოდან არ მოძრაობდა

¹¹ საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

მისი მწყობრიდან გამოსვლის გამო. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს რისკს იმისას, „რომ ამ პერიოდში წარმომადგენლობის ბალანსზე რიცხული ავტომატურად რეალურად იყო გამართულ მდგომარეობაში და მოძრაობდა არა წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, არამედ სხვა პირის მიერ არასამსახურებრივი მიზნებისათვის. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობით, მოხელე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აშკარაა სახელმწიფო რესურსების არარაციონალურად გამოყენების ფაქტი.

დასკვნა

ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში სახელმწიფო მოძრავი ქონების გამოყენების კონტროლის სისუსტე და საჯარო დაწესებულების მოხელეების მიერ არასათანადო, არაჯეროვანი დამოკიდებულება მათზე დაკისრებული მოვალეობებისადმი, მიუთითებს საჯარო დაწესებულების ქონების არარაციონალურ, არამიზნობრივ და არაეფექტიან გამოყენებაზე.

რეკომენდაცია

ზემო აფხაზეთის წარმომადგენლობაში დადგინდეს ავტომატური არამიზნობრივი, არაეფექტიანი ექსპლუატაციის კონკრეტული მიზეზები და შესწავლილ და განხილული იქნეს საჯარო დაწესებულების მოხელეების მათზე დაკისრებული მოვალეობებისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულება და შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. შემუშავდეს და დაინერგოს სახელმწიფო მოძრავი ქონების განკარგვის კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულების რესურსების რაციონალურ, მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას.

2.7 წარმომადგენლობითი ხარჯები

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად¹², წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს მიღებების, წვეულებებისა და ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, ოფიციალური სადილები და ა.შ.), საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენა/დამზადების, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის, აგრეთვე სასტუმროში მომსახურების ხარჯებს. 2017 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით, სამეგრელოს წარმომადგენლობამ გასწია 2,991.10 ლარის, ხოლო იმერეთის წარმომადგენლობამ – 1,675.40 ლარის ხარჯი. თანხები დაიხარჯა კვების ობიექტებში (ძირითადად, სარესტორნო მომსახურებაზე), სხვადასხვა რანგის სტუმრის გამასპინძლებისას.

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, ხარჯები უნდა იყოს დოკუმენტურად სათანადოდ დასაბუთებული. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობებმა ვერ წარმოადგინეს ინფორმაცია აღნიშნული ხარჯების მიზნობრიობის, მიღებული სტუმრების ვინაობისა და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. ასევე არ იყო შემუშავებული კონკრეტულად „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით გასაწევი ღონისძიებების გეგმა. თანხები ძირითადად ანაზღაურდებოდა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტებისა და სასაქონლო ზედნაღებების წარმოდგენის საფუძველზე.

დასკვნა

სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობის მიერ გაწეული 4,666.50 ლარის წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანშეწონილობა დოკუმენტურად სათანადოდ არ არის დადასტურებული. გამომდინარე აქედან, შეუძლებელია განისაზღვროს რამდენად

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 თავის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია“, კოდი: 224, „წარმომადგენლობითი ხარჯები“.

აუცილებელი და შედეგზე ორიენტირებული იყო სტუმრების კვების ორგანიზება კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში და შესაბამემა თუ არა ღონისძიებების შედეგები, დახარჯულ საბიუჯეტო რესურსს. შესაბამისად, იქმნება საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად, არაეკონომიურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

რეკომენდაცია

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა არ დააფინანსონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება მათ საქმიანობას, მიზნებსა და ამოცანებს. შემუშავდეს კონტროლის ისეთი მექანიზმი და წესი, რომელიც განსაზღვრავს სტუმრების კატეგორიას, მათი მიღება-გამასპინძლების ფორმას, მიზანს და უზრუნველყოფს წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით წარდგენილი დოკუმენტაციის სისრულეს, გამჭვირვალობას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად, ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვას.

2.8 პროგრამული ხარჯები

2.8.1 ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

წარმომადგენლობამ, აფხაზეთის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის N1 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, 2017 წელს გასცა 109,500.00 ლარი. დადგენილების მოთხოვნების მიხედვით, დაუშვებელია ერთსა და იმავე პირზე, ბენეფიციარზე(ოჯახზე) 2-ჯერ ან მეტჯერ ერთჯერადი დახმარების გაწევა. აღნიშნულის მიუხედავად, წარმომადგენლობის მიერ 3 ბენეფიციარს (თითოეულს – 100 ლარი) არასწორად ჩაერიცხა თანხა (ჯამში 300 ლარი), რაც წარმომადგენლობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემდეგი სახის შეცდომით იყო გამოწვეული: კერძოდ, იმ სამი ბენეფიციარის თანხა, რომელთა დაკმაყოფილება მოხდა საოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ, ნაცვლად მათ ანგარიშებზე თანხის გადარიცხვისა, ჩაირიცხა უკვე გაცემული/დაკმაყოფილებული ბენეფიციარების საბანკო ანგარიშებზე, რადგან მათი

საბანკო ანგარიშები იყო მითითებული დასაკმაყოფილებელი ბენეფიციარების საბანკო ანგარიშების მონაცემებში. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, ერთჯერადი დახმარების გაცემის პროცესში არსებულ კონტროლის სისუსტეებსა და საბიუჯეტო სახსრების კანონშეუსაბამო განაწილებაზე.

იმერეთის, გურიის, რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

წარმომადგენლობამ, აფხაზეთის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის N1 დადგენილების მიხედვით განსაზღვრული ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით, 2017 წელს გასცა 86,625.00 ლარი. დადგენილების შესაბამისად, დაუშვებელია ერთსა და იმავე პირზე, ბენეფიციარზე(ოჯახზე) 2-ჯერ ან მეტჯერ ერთჯერადი დახმარების გაწევა. აღნიშნულის მიუხედავად, წარმომადგენლობის მიერ ერთ ბენეფიციარზე არასწორად გაიცა თანხის (150 ლარი) 2-ჯერ, რაც წარმომადგენლობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გამოწვეული იყო ბენეფიციარის მიერ 2-ჯერ შემოტანილი განცხადების გამო, რომელიც სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ შეცდომით ორივეჯერ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, ერთჯერადი დახმარების გაცემის პროცესში არსებულ კონტროლის სისუსტეებსა და საბიუჯეტო სახსრების კანონშეუსაბამო განაწილებაზე.

დასკვნა

სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებში ფიქსირდება შემთხვევები, რომლებიც მიუთითებს კანონით დადგენილი ნორმების დარღვევასა და საბიუჯეტო სახსრების არასწორ განკარგვაზე, რაც მიუთითებს ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის პროცესში, არსებულ კონტროლის პრობლემებზე და წარმოშობს კანონით დადგენილი ნორმების დაუცველობის/შეუსაბამობის რისკებს.

რეკომენდაცია

სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა უზრუნველყონ არასწორად ანაზღაურებული თანხების ბიუჯეტში დაბრუნება და ერთჯერადი სოციალური დახმარების სწორად, მიზნობრივად გაცემა, სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფისა და პროგრამით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების თანაბარი გადანაწილების მიზნით, განახორციელონ თანხების გამოყოფა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.

2.8.2 მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამა

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

აღმოსავლეთის წარმომადგენლობამ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იგპ-თა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების“ პროგრამის ფარგლებში 2017 წლის 8 აგვისტოს განახორციელა ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, ჟღენტის ქ. №2-ში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების შესასვლელი კიბის რემონტი. წარმომადგენლობის მიერ სამუშაოების შემსრულებელთან გაფორმებული N70 შესყიდვის ხელშეკრულების (04.08.2017) საფუძველზე, უნდა განხორციელებულიყო შენობის ცენტრალური შესასვლელი კიბის 6 საფეხურის აღდგენა-მოპირკეთება და 12 მეტრი მოაჯირის მონტაჟი, თუმცა აუდიტის ჯუფის მიერ შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით და მოპოვებული ინფორმაციით გამოვლინდა, რომ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შეძენილი 8 კვ.მ, 240.00 ლარის ღირებულების ბაზალტის ქვით მოპირკეთებული არ იყო კიბის 6 საფეხური (სურათი N 1, 2). აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილი სპეციალური კომისია არ იყო ინფორმირებული კიბის ბაზალტის ქვით მოპირკეთების ვალდებულების თაობაზე. შესაბამისად, კომისიამ სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილზე დათვალიერებისას ვერ გამოავლინა ხარვეზი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოდ ინფორმირებულობა და კონტროლის განხორციელება კომისიის პირდაპირი მოვალეობა იყო. აღნიშნული მიუთითებს კომისიის მიერ, მათზე დაკისრებული



სურათი N 1. სამუშაოების შესრულებამდე



სურათი N 2. სამუშაოების შესრულების შემდეგ

მოვალეობების არასათანადოდ შესრულებაზე, აგრეთვე ჩატარებული სამუშაოების არაჯეროვან შესწავლასა და სამუშაოების შესრულების უკონტროლობაზე.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

სამეგრელოს წარმომადგენლობამ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იგპ-თა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების“ პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის 12 სექტემბერს განახორციელა ქ. ზუგდიდის ბარამიას ქ. 7-ში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების კორპუსი 1, ბინა N60-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული კარ-ფანჯრების დემონტაჟი, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება და დამონტაჟება. წარმომადგენლობის მიერ სამუშაოების შემსრულებელთან გაფორმებული N49 შესყიდვის ხელშეკრულების (04.09.2017) საფუძველზე შედგენილი N9 მიღება-ჩაბარების აქტით, წარმომადგენლობამ მიიღო მეტალოპლასტმასის ფანჯრებისა და კარის დამზადებისა და მონტაჟის მომსახურება.

თუმცა აუდიტის ჯუფის მიერ შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით და მოპოვებული ინფორმაციით გამოვლინდა, რომ 2.10 კვ.მ, 252.00 ლარის ღირებულების მეტალოპლასტმასის კარი დაზარალებულის ბინაში არ აღმოჩნდა (სურათი N3, N4), რადგან კარი დროებით ინახებოდა მეზობლის ბინაში, ხოლო ახალი კარის ნაცვლად კვლავ ფიქსირდება ხანძრის შედეგად დაზიანებული კარი. აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისია თავად დაესწრო მეტალოპლასტმასის ფანჯრებისა და კარის ბინაში მიტანას, თუმცა განხორციელდა მხოლოდ ფანჯრების მონტაჟი, ხოლო კარი არ დამონტაჟდა დაზარალებული დევნილის თხოვნით, ვინაიდან ნახანძრალი ბინა საჭიროებდა რემონტს, რის შემდეგაც დაზარალებული დევნილი თავად განახორციელებდა აღნიშნული კარის მონტაჟს.



სურათი N3. გამოცვლილი ფანჯარა



სურათი N4. გამოსაცვლელი კარი

დასკვნა

მოქმედი კანონმდებლობით¹³, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შემდეგ წარმომადგენლობებში შექმნილი სპეციალური კომისია გადის აღნიშნულ ობიექტზე და ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შემოწმებას. აღმოსავლეთის და სამეგრელოს წარმომადგენლობის მიერ მცირეფასიანი გადაუდებელი

¹³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 20 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი;

რემონტების პროგრამის ფარგლებში, გამოვლინდა შეუსაბამოები. კერძოდ, დაფიქსირდა როგორც სარემონტო სამუშაოების არაჯეროვნად ჩატარების, ისე წარმომადგენლობებში შექმნილი სპეციალური კომისიების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ (არაჯეროვნად) შესრულების ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობებში გამოვლინდა შეუსაბამოების მხოლოდ ორი შემთხვევა და მას სისტემური ხასიათი არ ჰქონია, აღნიშნული მაინც მიუთითებს დევნილთა საცხოვრებელ ობიექტებში კონკრეტულ მცირეფასიან სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების არაეფექტიანობასა და კონტროლის სისუსტეებზე, წარმომადგენლობებში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოების არაჯეროვან შესწავლასა და კონკრეტული სამუშაოების შესრულების შედეგების უკონტროლობაზე.

რეკომენდაცია

აღმოსავლეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობებმა: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიდან იგპ-თა – დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების“ პროგრამის ფარგლებში დეტალურად გააანალიზონ როგორც სარემონტო სამუშაოების არაჯეროვნად ჩატარების, ისე წარმომადგენლობებში შექმნილი სპეციალური კომისიების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ფაქტები (პასუხისმგებლობის საკითხის განხილვით) და მათი გამომწვევი მიზეზები; გაატარონ ისეთი ადეკვატური ღონისძიებები, რომლებიც აღმოფხვრის გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვნებებს და ხელს შეუწყობს შესრულებული სარემონტო სამუშაოების კონტროლის ისეთი სისტემის დანერგვას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა.

2.8.3 პროგრამების ფარგლებში დაუფინანსებელი ბენეფიციარები

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:


გამოვლენილი გარემოებები

წარმომადგენლობებში ერთჯერადი სოციალური დახმარებისა და მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამების ფარგლებში დაკმაყოფილებული ბენეფიციარების გარდა, მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამული დოკუმენტაციისა და შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ წარმომადგენლობებში შემოსული განცხადებებიდან, ბენეფიციარებს დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ პროგრამული ბიუჯეტის ამოწურვის გამო. კერძოდ: ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, არ დაკმაყოფილდა და უარი ითქვა აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში 419 (შემოსული 1,871.00 განცხადების 22.4%), სამეგრელოს წარმომადგენლობაში – 8 (შემოსული 914.00 განცხადების 0.9%), ხოლო იმერეთის წარმომადგენლობაში – 6 (შემოსული 680 განცხადების 0.9%) გამცხადებლის განცხადებაზე (ცხრილი N1).

ორგანიზაციის დასახელება	სოციალური დახმარების ბიუჯეტი (ლარი)		შემოსული განცხადებები		დაუკმაყოფილებელი განცხადებები	
	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი	2016 წელი	2017 წელი
აღმოსავლეთის წარმომადგენლობა	99,000.00	158,258.00	1,760.00	1,871.00	361	419.00
სამეგრელოს წარმომადგენლობა	70,000.00	109,500.00	802.00	914.00	4	8.00
იმერეთის წარმომადგენლობა	59,400.00	86,625.00	652.00	680.00	46	6.00

ცხრილი N1. წარმომადგენლობებში ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამით გაწეული ხარჯების დინამიკა (2016-2017 წლები)

წარმომადგენლობებში ერთჯერადი სოციალური დახმარების
პროგრამით გაწეული ხარჯების დინამიკა (2016-2017 წლები)



აუდიტორული პროცედურებით და არსებული დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ წარმომადგენლობებში წინა, 2016 წელთან შედარებით, სოციალური დახმარების ბიუჯეტი გაიზარდა საშუალოდ, 50 – 60%-ით, რაც ძირითადად გამოიწვია სხვადასხვა კატეგორიებზე (I ჯგუფის ინვალიდები, მე-2 მსოფლიო ომის ინვალიდები, მარჩენალდაკარგულები, დედ-მამით ობოლი არასრულწლოვნები და სხვ.) ერთჯერადი გასაცემი თანხების ზრდამ (ერთჯერადი გაცემები დადგენილ წესში შეტანილი ცვლილებით გაიზარდა 100 ლარიდან 150 ლარამდე). აღნიშნულ პირობებში, განსაკუთრებით, ადმოსავლეთის წარმომადგენლობაში, დინამიკაში (როგორც მიმდინარე, ისე წინა წელს) დაფიქსირდა დაუკმაყოფილებელი განცხადებების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, რაც როგორც დადგინდა, რეგიონების მიხედვით შემოსული განცხადებების რაოდენობებიდან გამომდინარე, მიუთითებს, ერთი მხრივ, წარმომადგენლობების (განსაკუთრებით ადმოსავლეთის წარმომადგენლობის) მიერ დევნილთა საჭიროებების არაჯეროვან წინასწარი შესწავლაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ერთჯერადი დახმარებების ბიუჯეტების შეუსაბამო დაგეგმვაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამის ფარგლებში ფიქსირდება ორი შემთხვევა, როდესაც ბენეფიციარების მიერ მოთხოვნილი, მცირეფასიანი

რემონტის ღირებულება აღემატება, პროგრამით დაწესებული ერთეული დაფინანსების ლიმიტს (800 ლარს), რისი დაფინანსებაც ასევე არ ხდება სახსრების უკმარისობის გამო. წარმომადგენლობების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განმცხადებელთა ზემოაღნიშნული მოთხოვნების მიუხედავად, წარმომადგენლობების მიერ არ მომხდარა აფხაზეთის მთავრობის მიმართ თანხის დამატების შესახებ წერილობითი ან სხვა რაიმე სახით კომუნიკაცია. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ წლიდან წლამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში არსებობს გაუხარჯავი სახსრების თავისუფალი ნაშთი, რომლის მიზნობრივად და ეფექტიანად მოთხოვნა-გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა დახმარების მოთხოვნელ იმ დევნილთა საჭიროებების დაკმაყოფილება, რომელთაც თანხის ამოწურვის მიზეზით უარი ეთქვათ დაფინანსებაზე.

დასკვნა

აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების მიერ არ ხდება პროგრამული ბიუჯეტის წინასწარ განსაზღვრული თანხის გარდა დამატებითი დაფინანსების მოთხოვნა, რის გამოც ფაქტობრივად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ უკვე დაფინანსებული და დახმარების მოთხოვნელი ის დევნილები, რომელთაც თანხის ამოწურვის მიზეზით უარი ეთქვათ დაფინანსებაზე. ასევე აღსანიშნავია აღმოსავლეთის წარმომადგენლობის მიერ დევნილთა საჭიროებების არაჯეროვანი შესწავლა, რაც მიუთითებს ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამით განსაზღვრული ბიუჯეტის შეუსაბამო დაგეგმვასა და მაკონტროლებლის (აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის) მხრიდან არასათანადოდ განხორციელებული კონტროლის რისკების წარმოშობაზე.

რეკომენდაცია

დახმარების მოთხოვნელი ბენეფიციარის დაკმაყოფილების მიზნით – აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა განახორციელონ აუცილებელი ზომების მიღება. კერძოდ, დევნილთა საჭიროებების განსაზღვრისა და სათანადო შესწავლის საფუძველზე, მოხდეს ბიუჯეტის შესაბამისი დაგეგმვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროგრამულ ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გამოყოფის მიზნით, ზემდგომ უწყებას წარედგინოს დასაბუთებული მოთხოვნები.

2.9 სახელმწიფო შესყიდვები

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა:

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს აღმოსავლეთის, იმერეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობების მიერ განხორციელდა მცირეფასიანი გადაუდებელი რემონტების პროგრამისათვის განკუთვნილი სამშენებლო მასალებისა და მომსახურების შესყიდვა.

წარმომადგენლობების მიერ აღნიშნული მასალისა და მომსახურების შეძენა მოხდა სხვადასხვა სამშენებლო CPV კოდზე (441 – სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები, 452 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, 453 – სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, 454 – შენობის დასრულების სამუშაოები) მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვა ხორციელდებოდა ერთი და იმავე ტიპის სარემონტო მასალასა და მომსახურებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით¹⁴, 5,000.00 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების, სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ელექტრონული ტენდერის საშუალებით. იმის მიუხედავად, რომ შესყიდული სარემონტო მასალებისა და მომსახურების ჯამური თანხა სამივე შემთხვევაში აღემატებოდა 5,000.00-ლარიან ზღვარს (აღმოსავლეთის წარმომადგენლობის მიერ შესყიდულმა სარემონტო მასალის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 9,472.27 ლარი, მათ შორის, დანაყოფის კოდზე 452 – 4,798.97 ლარი, კოდზე 453 – 1,804.10 ლარი, კოდზე 454 – 2,869.20 ლარი, იმერეთის წარმომადგენლობის მიერ განხორციელებულმა შესყიდვამ - 9,474.86 ლარი, მათ შორის, დანაყოფის კოდზე 441 – 4,897.19 ლარი, კოდზე 454 – 4,757.00 ლარი, ხოლო სამეგრელოს წარმომადგენლობის მიერ განხორციელებულმა შესყიდვამ - 9,800.00 ლარი, მათ შორის, დანაყოფის კოდზე 453 – 5,043.00 ლარი, კოდზე 454 – 4,577.67 ლარი), მათი შეძენა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის წესის შესაბამისად.

¹⁴ 'სახელმწიფო შესყიდვების შესახებ' კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი.

წარმომადგენლობების განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი თითოეული სარემონტო სამუშაო არ უნდა აღემატებოდეს 800.00-ლარიან ლიმიტს, არაეფექტიანი იქნება ელექტრონული ტენდერის ჩატარება მათი მცირე ღირებულების გამო, თუმცა ნათელია, რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარებისგან თავის არიდების მიზნით მოხდა შესყიდვითი ობიექტების სხვადასხვა CPV კოდით აღრიცხვა, მიუხედავად მათი ერთგვაროვნებისა, რითაც დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვარი.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობაში, დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურები, რაც ქმნიდა კანონმდებლობით დადგენილი შესყიდვის საშუალების მონეტარული ზღვრების ხელოვნურად დაყოფისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად გახარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია

აღმოსავლეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებმა შესყიდვის განხორციელებამდე სწორად განსაზღვროს შესყიდვის მიზნობრიობა და ობიექტი, ხოლო შემდგომ მოახდინოს შესყიდვის საშუალების კანონმდებლობის შესაბამისად დადგენა. რაც უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვრების დაცვას და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად, ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვას.

2.10 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

შესრულებული რეკომენდაციები:

ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებში, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, 2016 წელს არასწორად აღრიცხული არაფინანსური აქტივი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იქნა აღრიცხული და ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა შესაბამისი კორექტირებების/შესწორებების შეტანა.

სახელმწიფო შესყიდვები

აღმოსავლეთის წარმომადგენლობაში, სას-ის რეკომენდაციის შესაბამისად, 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა და შესყიდვების განხორციელებისას არსებული სხვა დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის ვადებში იყო ატვირთული.

არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

იმერეთის წარმომადგენლობაში, სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, მოხდა აღურიცხავი აქტივების შეფასება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერა.

სატრანსპორტო აღრიცხვის ჟურნალი

სამეგრელოს წარმომადგენლობას სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, გათვალისწინებული ჰქონდა და აწარმოებდა 2017 წელს სამორიგეო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალს.

შესასრულებელი რეკომენდაციები:

არაფინანსური აქტივები

აღმოსავლეთის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული კვლავ ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე არის განთავსებული და იყენებს სახელმწიფო უძრავ ქონებას (საოფისე ფართს).

შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება კვლავ ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად.

მატერიალური აქტივების აღრიცხვა

აღმოსავლეთის, ზემო აფხაზეთის, სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობების 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში კვლავ არ არის აღრიცხული მატერიალური მარაგების/გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების შეძენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციები.

ავტოსატრანსპორტო ხარჯები

სამეგრელოსა და იმერეთის წარმომადგენლობებში კვლავ გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ავტომანქანის მოძრაობა არ არის დაფიქსირებული ავტომანქანის მოძრაობის (გამოყენების) აღრიცხვის ჟურნალში.

3. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა:

მიხეილ გოდოლაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი, ჯგუფის ხელმძღვანელი (ტელ.: 591 005 657; ელფოსტა: MGodoladze@sao.ge)

ეთერ კაცაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ბრეგვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ხაზალია

აუდიტორ-ასისტენტი

